სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/157

ქ. თბილისი 25 სექტემბერი 2025წ

"სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის წესის" დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, ვიცე-რექტორის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-02/22 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს "სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის წესი" დანართით წარმოდგენილი სახით (დანართი).
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის ზოგადი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის ზოგადი წესი" (შემდგომში წესი) განსაზღვრავს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) სტუდენტებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნასთან დაკავშირებულ ზოგად საფუძვლებს.

1.2. წესის მიზანია, სტიპენდიის სამართლიანად დანიშვნის უზრუნველსაყოფად სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რაც გამორიცხავს ნებისმიერ დისკრიმინაციას და ხელს შეუწყობს სტუდენტის მოტივაციის ამაღლებას სწავლისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაში, საზოგადოებრივ და სხვა აქტიურობაში და სხვა.

1.3. სტიპენდიების დანიშვნის კრიტერიუმები კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოფდეს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც საქართველოს მოქალაქე ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის.

მუხლი 2. სტიპენდიების სახეები

2.1. უნივერსიტეტის სტუდენტს შეიძლება დაენიშნოს:

2.1.1. სახელმწიფო სტიპენდია;

2.1.2. საუნივერსიტეტო სტიპენდია;

2.1.3. საფაკულტეტო სტიპენდია;

2.1.4. სხვა ორგანიზაციის/ფიზიკური პირის მიერ დაწესებული სტიპენდია;

2.1.5. სახელობითი სტიპენდია.

2.2. უნივერსიტეტის სტუდენტს შეიძლება დაენიშნოს სხვა სახის სტიპენდია, რომლის დანიშვნის წესი არ ეწინააღმდეგება ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 3. უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის პროცესების ძირითადი პრინციპები

3.1. უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის პროცესების ძირითადი პრინციპებია:

ა) გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს, რომ სტიპენდიების დანიშვნის პროცესების ყველა კრიტერიუმი, პროცედურა და შეფასების სისტემა ნათელია და დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი. საჭიროებისას, პროცესის გამჭვირვალობის და

ეფექტურობის ამაღლებისათვის შესაძლებელია ციფრული ინტეგრაციის (ონლაინ სისტემის) გამოყენება;

ბ) სტანდარტიზებული პროცედურების არსებობა, რაც მოიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ეტაპებს, ვადებს, შერჩევის/კონკურსის ჩატარების წესს, კრიტერიუმებს და პასუხისმგებელ პირებს.

მუხლი 4. სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესი

4.1. ყოველ სემესტრში, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებისა (შემდგომში - მინისტრის ბრძანება) და აღნიშნული სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის შესაბამისი წერილის საფუძველზე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახური (შემდგომში სამსახური) უზრუნველყოფს სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრას მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პირობებისა შესაბამისად და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

4.2. სამსახური, მინისტრის ბრძანებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, უზრუნველყოფს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადებას "ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ". აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ფაკულტეტები სამსახურში წარადგენენ სტუდენტთა რეიტინგულ სიებს სტიპენდიების დანიშვნის კრიტერიუმების შესაბამისად ამ სტუდენტების მონაცემებთან და საბანკო რეკვიზიტებთან ერთად, რის საფუძველზეც აღნიშნულ სტუდენტებს რექტორის ბრძანებით ენიშნება სტიპენდია.

მუხლი 5. საუნივერსიტეტო სტიპენდიის დანიშვნის წესი

5.1. საუნივერსიტეტო სტიპენდიის დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით მტკიცდება სტიპენდიების რაოდენობა, დანიშვნის წესი და შერჩევის კრიტერიუმები.

5.2. აკადემიური საბჭოს აღნიშნული დადგენილების და რექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ფაკულტეტები სამსახურში წარადგენენ სტუდენტთა რეიტინგულ სიებს სტიპენდიების დანიშვნის კრიტერიუმების შესაბამისად, სტუდენტების მონაცემებთან და საბანკო რეკვიზიტებთან ერთად, რის საფუძველზეც რექტორის ბრძანებით რეიტინგულ სიაში ჩამოთვლილ სტუდენტებს ენიშნება სტიპენდია.

მუხლი 6. საფაკულტეტო სტიპენდიის დანიშვნის წესი

6.1. საფაკულტეტო სტიპენდიის დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაბამისი

დადგენილებით მტკიცდება სტიპენდიების რაოდენობა, დანიშვნის წესი და შერჩევის კრიტერიუმები.

6.2. ფაკულტეტი სამსახურში წარადგენს სტუდენტთა რეიტინგულ სიებს სტიპენდიების დანიშვნის კრიტერიუმების შესაბამისად, სტუდენტების მონაცემებთან და საბანკო რეკვიზიტებთან ერთად, რის საფუძველზეც რექტორის ბრძანებით რეიტინგულ სიაში ჩამოთვლილ სტუდენტებს ენიშნება სტიპენდია.

მუხლი 7. სხვა ორგანიზაციების/ფიზიკური პირების მიერ დაწესებული სტიპენდიის დანიშვნის წესი

7.1. სხვა ორგანიზაციის/ფიზიკური პირის (შემდგომში ორგანიზაცია/ფიზიკური პირი) მიერ დაწესებული სტიპენდიის დანიშვნის წესი და შერჩევის პირობები და კრიტერიუმები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან და შესაძლებელია განისაზღვროს ერთ-ერთი შემდეგი ფორმით:

ა) ორგანიზაცია/ფიზიკური პირი გამოყოფს ფინანსურ რესურსს და გადასცემს უნივერსიტეტს სტუდენტებისათვის სტიპენდიის სახით გასაცემად;

ბ) ორგანიზაცია/ფიზიკური პირი გამოყოფს ფინანსურ რესურსს და შესაბამის კრიტერიუმებთან ერთად გადასცემს უნივერსიტეტს სტუდენტებისათვის სტიპენდიის სახით გასაცემად. ორგანიზაცია შეიძლება მონაწილეობდეს ან არ მონაწილეობდეს სტიპენდიენტების შერჩევის/კონკურსის პროცესში;

გ) ორგანიზაცია/ფიზიკური პირი გამოყოფს ფინანსურ რესურსს და სტიპენდიას უნიშნავს იმ სტუდენტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს.

7.2. 7.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტიპენდიის დანიშვნა შეიძლება მოხდეს საუნივერსიტეტო სტიპენდიის დანიშვნის წესის შესაბამისად;

7.3. 7.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტიპენდიის დანიშვნა, თუ ორგანიზაცია/ფიზიკური პირი არ მონაწილეობს სტიპენდიანტების შერჩევის/კონკურსის პროცესში, შეიძლება მოხდეს საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო სტიპენდიის დანიშვნის წესის შესაბამისად;

7.4. 7.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტიპენდიის დანიშვნა, თუ ორგანიზაცია/ფიზიკური პირი მონაწილეობს სტიპენდიანტების შერჩევის/კონკურსის პროცესში, რექტორის ბრძანებით ან რექტორისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებით იქმნება ერთობლივი სასტიპენდიო კომისია, რომელსაც მიეწოდება ინფორმაცია (ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, საშუალო შეწონილი ქულა, საშუალო შეწონილო შეფასება - GPA, სტუდენტურ სამეცნიერო, სპორტულ, შემოქმედებით თუ სხვა აქტივობებში მონაწილეობა და სხვ.) შერჩევაში მონაწილე სტუდენტების შესახებ. კომისია შერჩევის/კონკურსის შედეგებს წარუდგენს რექტორს სტიპენდიის დანიშვნის მიზნით;

7.5. 7.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტიპენდიის მოპოვებაში ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი დროულად ავრცელებს ინფორმაციას სასტიპენდიო

წინადადების/კონკურსის შესახებ და საჭიროებისას, ხელს უწყობს სტუდენტებს კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი ინფორმაციის (ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, საშუალო შეწონილი ქულა, საშუალო შეწონილო შეფასება - GPA, სტუდენტურ სამეცნიერო, სპორტულ, შემოქმედებით თუ სხვა აქტივობებში მონაწილეობა და სხვ.) მიღებაში.

7.6. ამ მუხლის 7.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 8. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის წესი

8.1. სახელობითი სტიპენდია შეიძლება დანიშნოს:

ა) უნივერსიტეტის ფაკულტეტმა (სკოლამ), დამოუკიდებელმა სამეცნიერო-კვლევითმა ერთეულმა ან სხვა სტრუქტურულმა ერთეულმა, რომელსაც გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი;

ბ) გარე ორგანიზაციამ ან კერძო პირმა;

8.2. უნივერსიტეტის ფაკულტეტის (სკოლის), დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ან სხვა სტრუქტურული ერთეულის ინიციატივით სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის ზოგადი წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/258 დადგენილებით.

8.3. გარე ორგანიზაციის ან კერძო პირის მიერ სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა შეიძლება განხორციელდეს წინამდებარე წესის მე-7 მუხლის ანალოგიურად.